ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 44

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2021 წლის 16 თებერვალს ქ.თბილისი

შემსყიდველი _ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახით ს/ნ 16161-ის მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი **გ.ჯინჭარაძე**
მისამართი: ----დაბა ვაზიანი----------
საინდენტიფიკაციო 206192449 ----
მიმწოდებელი ი.მ ილია ძამაშვილი

მისამართი, ქ.თბილისი წულუკიძის #3 ტ:551-90-50-95
საინდენტიფიკაციო ს/კ 01012011723
„ საქართველოს ბანკი“ BAGAGE 22 ანგარიშის ნომერი: GE40BG0000000920086800

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების N1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული საქონელის ხელშეკრულების პირობებისა და ფასების ცხრილში აღნიშნული ხარისხის,რაოდენობის და ფასის შესაბამისად:

1.2. **სამეურნეო ხარჯი** (CPV კოდი **448;148**)
(საქონლის მოკლე აღწერა)

1.3. ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნული დანართი N 1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4. **შემსყიდველი** იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. **ხელშეკრულების ფასი**

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია N 1 დანართში (ფასების ცხრილი).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

442.00 (ოთხას ორმოცდაორი ლარი და 00 თეთრი) ლარი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.3 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს **მიმწოდებლის** ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს,მოსაკრებელს,სახდელს.

2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. **ხარისხი**

3.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში და ხელშეკრულების დანართში აღნიშნულ პარამეტრებს.

3.2 მიმწოდებელი კისრულობს გარანტიას მიწოდებულ საქონელზე და პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 5 დღის განმავლობაში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია 5 დღეში ან გამოცვალოს წუნდებული პროდუქცია ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

4. **მიწოდების წესი**

4.1 მიმწოდებლის მიერ საქონლის საბოლოო მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 7 დღის განმავლობაში.

4.2 **მიმწოდებელი** ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაცია, მათ შორის სასაქონლო ზედნადები, კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტაცია და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

4.**3** **შემსყიდველი** უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: **ი.კუდუხაშვილს**

4,4 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის პარტიით მიღებაზე , თუ იგი უხარისხოა, ან არ იქნება წარმოდგენილი თანხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით, ან დარღვეული იქნება მიწოდების ვადები,ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4,5 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით: მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, და/ან სხვა დოკუმენტით,რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას მიმწოდებლისაგან შემსყიდველზე .

4,6 ამ ხელშეკრულლების 4.5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე .

4,7 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5 ანგარიშსწორების წესი

5.1 **შემსყიდველი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება ,საქონლის გადაცემა მოხდეს ამ თანხის ჩარიცხვიდან **-----5-----** კალენდარული დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა -- ლარი.

5.3 გადახდის ფორმა ნაღდი ან **უნაღდო.**

5.4 გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

6 მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

6.1 **შემსყიდველი** უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0,1% -ის ოდენობით

6.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით

6.3 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული საურავები ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილი მიუწოდებელი საქონელის რაოდენობა ღირებულების 2%-ის ოდენობით.

6.4 თუ მიმწოდებელი განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე,შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%.

7 სხვა პირობები

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და **მოქმედებს 2021 წლის 29 მარტის ჩათვლით.**

7.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო,

7.3 ხელშეკრულებაში დამატებების და ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

7.5 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს .

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

4 MECHANIZED BRIIGADE

Digitally signed by 4 MECHANIZED BRIIGADE
Date: 2021.02.17 09:27:53 +04'00'

ფასების ცხრილი

2021 წლის 16 თებერვლის #44 ხელშეკრულებასთან

N	პროდუქციის დასახელება	CPV კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება	მიწოდების ადგილი
1	საღებავი ალონი	44810000	ცალი	10	20.00	200.00	ქ.თბილისი
2	გრუნტი ვაკო	44810000	ცალი	6	12.00	72.00	
3	საგოზავი ნოვოლი ებოქსიტი 1კგ.	44810000	ცალი	2	16.00	32.00	
4	საგოზავი თეთრი LP+1კგ.	44810000	ცალი	3	16.00	48.00	
5	გრუნტი ნოვოლი 4+1	44810000	ცალი	2	24.00	48.00	
6	კატალიზატორი 250 გრ	44810000	ცალი	2	12.00	24.00	
7	ზუმფარა (სმირდექსი)	14810000	ცალი	5	1.00	5.00	
8	ზუმფარა (ნიკონი)	14810000	ცალი	14	0.50	7.00	
9	სკოჩი	44424200	ცალი	3	2.00	6.00	
	ჯამი					**442.00**	

სულ: 9 (ცხრა) დასახელება

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.თბილისი 16 თებერვალი 2021 წელი

საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზებული ბრიგადის მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი **გიორგი ჯინჭარაძე** და საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზებული ბრიგადის ანგარიშვალდებული პირი **ილია კუდუხაშვილი** ვადასტურებთ,რომ საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზებული ბრიგადის მიერ **ი.მ.ილია ძამაშვილი**-სგან გამარტივებული შესყიდვების საშუალებით (2021 წლის 16 თებერვალს გაფორმებული ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' # 44 ხელშეკრულების ფარგლებში) შესყიდვის განხორციელება/მონაწილეობის მიღება არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და **ი.მ.ილია ძამაშვილ**-თან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.